დამტკიცებულია
სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლის
დირექტორის 2023 წლის 13 დეკემბრის ბრძანება N 2-690

საზოგადოებასთან ურთიერთობის / კომუნიკაციის წესი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა

მუხლი 1. შესავალი

1. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი საზოგადოებასა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. იმისათვის, რომ სკოლას თემსა და საზოგადოებასთან ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია ჩამოუყალიბდეს, პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი სკოლამ უნდა გადადგას.

2. წარმატებული სკოლა, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მოკავშირედ აქცევს თემს და ზოგადად, საზოგადოებას. ჯანსაღი ურთიერთობა, პირველ რიგში, აუცილებელია ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენისათვის, სოციუმში მომავალი ინტეგრაციისათვის.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. სსიპ ქალაქ ქუთაისის N17 საჯარო სკოლა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს: საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სკოლის შინაგანაწესით, წინამდებარე დებულებით და სკოლის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. სკოლა ვალდებულია:
   1.1. საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები (განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე, სხვა).
   1.2. საზოგადოების დაინტერესებული წევრები ჩართოს სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო, სასკოლო გეგმების შემუშავებაში.
   1.3. მიაწოდოს საჯარო ინფორმაცია, კანონის სრული დაცვით, საზოგადოების დაინტერესებულ წევრს მისთვის ხელსაყრელი ფორმით (ელექტრონული ვერსია/ამობეჭდილი).
   1.4. უზრუნველყოს საინფორმაციო და სხვა ტიპის შეხვედრები (კანონის სრული დაცვით) საზოგადოების დაინტერესებულ წევრებთან, იმგვარად, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს.;
   1.5. თავად იყოს ინიციატორი, ან ჩაერთოს თემის და საზოგადოების მიერ დაგეგმილ გარემოს დაცვით აქტივობებში.
   1.6. უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, მოსწავლის პიროვნული და ფიზიკური განვითარების მიზნით, დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები პარტნიორ სკოლებთან, თემთან და საზოგადოების სხვა წევრებთან.
   1.7. შექმნას ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი გარემო ;
2. სკოლას უფლება აქვს:
   2.1. მოსთხოვოს სკოლასთან ურთიერთობით დაინტერესებულ საზოგადოების, თემის წევრებს სკოლის ტერიტორიაზე სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დაცვა
   2.2. არ დაუშვას გარეშე პირები სკოლაში შინაგანაწესით ნებადართული მიღების საათებისა და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;
   2.3. მოსთხოვოს სკოლაში დადგენილი უსაფრთხოების წესების განუხრელად დაცვა.

2.4. უარი უთხრას სკოლის ტერიტორიაზე შეკრების თხოვნაზე, თუ ამ შეკრებით ხელი ეშლება სასწავლო პროცესს, ან ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

2.5. მოუწოდოს თემის/საზოგადოების წევრებს, ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში, მიიღოს მონაწილეობა სკოლის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში;

3. საზოგადოების წარმომადგენელი ვალდებულია:

3.1. დაიცვას სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები;

3.2. იყოს კორექტული, საერთო მიზნების მიღწევისთვის ითანამშრომლოს სკოლასთან და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლისა და მისი თანამშრომლების მიმართ;

3.3. სკოლის ტერიტორიაზე დაიცვას სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმები.

3.4.ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს სკოლის დირექციასთან;

4. საზოგადოების წარმომადგენელს უფლება აქვს:

4.1. მოითხოვოს, კანონის დაცვით, სკოლისაგან საჯარო ინფორმაცია.

4.2. მოითხოვოს სკოლისგან სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება;

მუხლი 4. საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები

1. სკოლის საქმიანობისა და მუშაობის შესახებ საჯარო ინფორმაცია საზოგადოების წევრს მიეწოდება მოთხოვნის საფუძველზე, გონივრულ ვადაში (კანონის შესაბამისად);

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს სკოლა ვალდებულია, იყოს კორექტული, კეთილგანწყობილი.

3. ურთიერთობის დროს დაუშვებელია პიროვნული ღირსებების შელახვა, უხეშობა.

4. საზოგადოებასთან თანამშრომლობითი ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს სკოლის საუკეთესო ინტერესებს.

მუხლი 5, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

1. საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით, სკოლამ უნდა განახორციელოს ეფექტური პროექტები, დაგეგმოს ინტეგრირებული აქტივობები თემის წარმომადგენლებთან ერთად. როგორიცაა:

გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი;

ზ) პერსონალური მონაცემების დაცვა;

თ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას სასკოლო ცხოვრებაში.

6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.